წელიწადი მეცამეტე

ბოლშევიკებო ყველა ძალა ბრძოლისაკენ, შეურთდით!

კომუნისტი

ცკ კპ. ბ. (ბ) საქნწ. და თბ. პრაქტიკების და საქ. ცკის ორგანო

ხელმოწერის ფასი: რედაქტირის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოსი 10—58, მთ. კონტორის—3—81.

24 მაისი, 1933 წ. № 118

მხურვალე ბოლშევიკური სალამი ბელორუსიის სახელოვან კომპარტიას

საგაზაფხულო თესვის შედეგები

და დამუშავება-აღების კამპანიის ამოცანები

ამხ. ვ. ალიხანოვის მოხსენება

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას პლენუმზე 1933 წ. 21 მაისს

საგაზაფხულო თესვის წინასწარი შედეგები

წუწინარეს ყოველისა ნება მომეცით გადმოგცეთ მხურვალე სალამი საქ. კ.პ. (ბ) ცეკას სახელით (ტაში).

თქვენი პლენუმი შეიკრიბა ორი უმნიშვნელოვანესი სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მიჯნაზე ჩვენ სულ ეხლახან დავამთავრეთ საგაზაფხულო თესვა და ვუდგებით გათოხნა - დამუშავების კამპანიას.

როგორია საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის წინასწარი შედეგები საქართველოში?

15 მაისისათვის ყველა საგაზაფხულო კულტურები დათესილი იყო 550.171 ჰექტარზე ან გეგმის 84,7 პროცენტი. იმავე რიცხვისათვის 1932 წელს ჩვენ გვქონდა 345.148 ჰექტარი, ე. ი. 49,1 პროცენტი.

20 მაისისათვის ყველა საგაზაფხულო კულტურები დათესილია 605.692 ჰექტარზე ან 93,2 პროცენტი.

ამრიგად, 20 მაისისათვის წელს საქართველოში დაითესა ყველა საგაზაფხულო კულტურები 161.690 ჰექტ. მეტი, ვიდრე გასულ წელს და 119.459 ჰექტ. მეტი, ვიდრე 1930 წ., რომელიც წარმოადგენდა ყველაზე უფრო მოსავლიან წელიწადს საქართველოში, ისე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში.

ეს საერთო ცნობები მოწმობენ იმას, რომ წელს თესვა ჩვენში მიმდინარეობს გაცილებით უკეთ, ვიდრე მთელ რიგ გასულ წლების განმავლობაში.

ბამბის თესვა ჩვენ დავამთავრეთ დაწესებულ ვადაზე 5 დღით ადრე, 5 მაისისათვის დათესილია 18.488 ჰექტარი ბამბა ან გეგმის 102,7 პროცენტი და ეს იმ დროს, როცა გასულ წელს ამავე რიცხვისათვის ბამბის თესვის გეგმა ჩვენ შესრულებული გვქონდა მხოლოდ 30,6 პროცენტით.

შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა 1 მაისისათვის ჩვენ შევასრულეთ 104,3 პროცენტით, ე. ი. დათესილია 4.297 ჰექტარი, 1932 წელს კი გეგმის შესრულება ამავე რიცხვისათვის უდრიდა მხოლოდ 47 პროცენტს.

სიმინდი 15 მაისისათვის დათესილია 327.000 ჰექტარზე და ეს იმ დროს, როცა გასულ წელს ამავე რიცხვისათვის სიმინდი დათესილი იყო მხოლოდ 142,700 ჰექტარზე

ყველა მარცვლეული კულტურები 15 მაისისათვის დათესილია 472.699 ჰექტარზე ან გეგმის 89,4 პროცენტი. გასული წლის ამავე რიცხვისათვის ყველა მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა ჩვენ შესრულებული გვქონდა 48,9 პროცენტით.

ეს ცნობები მოწმობენ იმას, რომ წელს, გასულ წლებთან შედარებით, ჩვენ გავაჩაღეთ თესვა გაცილებით უფრო ადრე, უკეთ მოვაწყვეთ იგი და უკეთ ჩავატარეთ მოსამზადებელი მუშაობა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის.

15 მაისისათვის სავსებით დამთავრდა საგაზაფხულო კულტურების თესვა საქართველოს 25 რაიონში ხოლო 20 მაისისათვის თესვა დაამთავრა კიდევ 7 რაიონმა. 20 მაისისა თვის 13 რაიონს გეგმა შესრულებული აქვს 90 პროცენტზე მეტით, ხოლო ჩამორჩენილია 10 რაიონი, რომლებსაც გეგმა შესრულებული აქვთ 90 პროც. დაბლა.

ჩამორჩენილ რაიონებს წარმოადგენენ ისეთი მთიანი რაიონები, როგორიცაა ხევის რაიონი (40,2 პრ.), ახალქალაქის რაიონი (76 პროც.), თიანეთის რაიონი (79 პროც.) და სხვ., სადაც კლიმატიური პირობების გამო თესვა გაიწელა მხოლოდ 1 მაისიდან.

განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან აფხაზეთის რაიონები, რომლებმაც 20 მაისისათვის ყველა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა შეასრულეს მხოლოდ 44,1 პროცენტით.

ასეთია, ამხანაგებო თესვის წინასწარი შედეგები 20 მაისისათვის.

მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლა მოითხოვს დამუშავების წარმატებით ჩატარებას და მზადყოფნას აღებისათვის

მაგრამ აქ გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ თესვის კამპანიის ასე წარმატებით მიმდინარეობა სრულიადაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ სავსებით უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი ნათესების მაღალი მოსავლიანობა. მოსავლიანობა თითქმის სანახევროდ დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ ჩავატარებთ ჩვენ გათოხნა - დამუშავების კამპანიას და როგორ მოვემზადებით მოსავლის აღებისათვის.

საქართველო — ეს არის შრომის ტევადი კულტურების ქვეყანა, სპეციალურად და ტეხნიკური კულტურების ქვეყანა. სახლავი კულტურების ქვეყანა. სახლავი სარწყავი კულტურების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 479.000 ჰექტარს ან მთელი საგაზაფხულო კულტურების 70 პროცენტზე მეტს, თუ არ ვიანგარიშებთ მრავალწლოვან ნარგავების 100.000 ჰექტარს (ჩაი, ყურძენი და სხვ.), რომლებიც მოითხოვენ მუდმივ მოვლას და გულმოდგინედ დამუშავებას.

ამგვარად საერთო ფართობი, რომელიც მოითხოვს უსათუოდ და მეტად სერიოზულ დამუშავებას, საქართველოში შეადგენს 579.000 ჰექტარს. ამას უნდა მივუმატოთ თავთავიანი კულტურების გათოხნაც სარეველა ბალახებით დაბაგიანებულ მიწდვრებზე, რაც ჩვენ უნდა ჩავატაროთ მაისის დამლევამდე. თავთავიანი კულტურების გათოხნას მოწეს როგორც ჩვენ პირველად ვატარებთ მხოლოდ წელს.

ასეთი უდიდესი ფართობის დამუშავების და გათოხნის ამოცანები განსაკუთრებით პასუხისმგებლობა ხდება იმასთან დაკავშირებით, რომ მწკრივთა შორის დამუშავების ოთხჯერ მთელი მუშაობა უნდა ჩატარდეს ხელით და წელს ტრაქტორით დამუშავებული იქნება. არა უმეტეს 6.000 ჰექტ., თუ არ ვიღაპარაკებთ ცხენით კულტივაციაზე, რაც საქართველოს პირობებში ჩატარდება მთელი ფართობის არა უმეტეს 2—3 პროცენტზე.

ჩვენი რაიონული ორგანიზაციები, რომლებმაც ცოტად თუ ბევრად და დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს თესვა დაწესებულ ვადებში, ზანტად მუშაობენ და არა საკმაო სისწრაფით გადადიან გათოხნა-დამუშავების კამპანიაზე. ბამბის თესვა ჩვენ დავამთავრეთ 5 მაისს, ხოლო 15 მაისისათვის მებამბეობის რაიონებმა პირველი გათოხნა ჩაატარეს მხოლოდ 1.553 ჰექტარზე. 20 მაისისათვის ბამბის პირველი გათოხნის გეგმა შესრულებულია 31,6 პროცენტით, ხოლო გურჯაანის, ლიუქსემბურგის და საგარეჯოს რაიონებმა ბამბის გათოხნა დაიწყეს მხოლოდ დღეს.

შაქრის ჭარხლის თესვა ჩვენ დავამთავრეთ 1 მაისს და პირველი გათოხნა უნდა დაგვემთავრებია 15 მაისს. 20 მაისისათვის შაქრის ჭარხლის პირველი გათოხნის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 75,5 პროცენტით.

ამრიგად ამხანაგებო, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ რაიონები ძალიან ნელა გადადიან გათოხნა - დამუშავების კამპანიაზე.

ასეთი მდგომარეობა სრულიად დაუშვებელი და საშიშია. მას შეუძლია სერიოზული გავლენა მოახდინოს მოსავლიანობის შედეგებზე, ვიმეორებ, თუ ჩვენ, ამხანაგებო; დაწესებულ ვადებში არ ჩავატარებთ ნათესების დამუშავებას და გათოხნას; თუ მაღალხარისხოვნად არ დავამუშავებთ ჩვენს კულტურებს, მაშინ ჩვენი დაღებული მუშაობა თესვის კამპანიის პერიოდში შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს. მოსავლიანობა აუცილებლად შემცირდება, ხოლო ზოგიერთ ადგილებში შეიძლება საერთოდ დაიღუპოს ნათესები.

ამიტომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენ ნათესებს ჩვენ მიერ ჩატარებული დამუშავების ხარისხი შეესაბამებოდეს ჩვენ მიერ დაღებულ ვალდებულებას.

ბამბის მიმართ, მაგალითად, მტკიცედ გამორკვეულია რომ პირველი ორი გათოხნა 50 პროცენტით სწყვეტს მოსავლიანობის ბედს. იგივე უნდა ითქვას ჭარხლის პლანტაციების და სხვა კულტურების თავის დროზე და დამუშავების შესახებ.

დამუშავება - გათოხნის კამპანია ჩვენ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა მოვაწყოთ და ჩავატაროთ ზუსტად განსაზღვრულ ვადებში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დამუშავების მაღალ ხარისხს.

1933 წელს წარმოადგენს მოსავლიანობის გადიდების წელიწადს. მიმდინარე წელს ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ბამბის ხაზით ჰექტარიდან მივიღოთ 6,1 ცენტნერი; ნაცვლად 2 ცენტნერისა, რომელიც ჰექტარიდან მივიღეთ შარშან, და ჩავაბარით სახელმწიფოს 10.065 ტონა ნედლი ბამბა მაშინ, როცა გასულ წელს სახელმწიფოს ფაქტიურად ჩაბარდა 3.480 ტონა. აფხაზეთის თამბაქოს მიმართ მიმდინარე წელს უნდა მივაღწიოთ 6,1 ცენტნერ მოსავალს ჰექტარზე, ნაცვლად 3,3 ცენტნერისა; რომელიც მივიღეთ შარშან. მხოლოდ ასეთი მოსავალი ჰექტარზე უზრუნველყოფს სახელმწიფოსთვის 7.330 ტონა აფხაზურ თამბაქოს ჩაბარების გეგმის შესრულებას. საქართველოს თამბაქოს რაიონებმა (აფხაზეთის) მოსავლიანობა ჰექტარზე უნდა გადიდონ 7,1 ცენტნერამდე, ნაცვლად გასული წლის 6,4 ცენტნერისა. მხოლოდ ასეთ მოსავალს შეუძლია უზრუნველყოს სახელმწიფოს სთის 4.375 ტონა ქართულ თამბაქოს ჩაბარების გეგმის შესრულება.

შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა 1932 წელს ჰექტარზე მიღებულ 30,8 ცენტნერიდან 1933 წელს გადიდებულ უნდა იქნას 71 ცენტნერამდე: აგარის შაქრის ქარხანამ მიმდინარე წელს უნდა მიიღოს 35.000 ტონა, შაქრის ჭარხალი ნაცვლად 6.603 ტონისა, რომელიც ქარხანამ მიიღო გასულ წელს.

ჩაის მხრივ ისე, როგორც სხვა კულტურების მხრივ, საგრძნობლად გადიდებულ უნდა იქნას მოსავლიანობა, რომელიც ამჟამად ძალიან დაბალია: საშუალოდ 500—600 კილოგრამი ჰექტარზე.

თუ მოვიგონებთ, რომ იაპონიაში ერთ ჰექტარიდან საშუალოდ ჰკრიფენ 4.000—6.000 კილოგრამს, ცეილონში—2.850 კილოგრამს, ინდოეთში—2.500 კილოგრამს, აშკარა გახდება ის დიდი მუშაობა, რომელიც დასახულია და უნდა გატარდეს ჩვენი ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

აბრეშუმის მხრივ — ჩვენ უნდა მივიღოთ პარკის მოსავალი ერთ კილოგრამი აბრეშუმის თესლიდან 32 კილოგრამი, ნაცვლად 14,4 კილოგრამისა, რომელიც მივიღეთ 1932 წელს.

ასეთია, ამხანაგებო, ჩვენი ამოცანები მოსავლიანობის გადიდების და რეში და ჩვენი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე.

ამისთვის, რომ თქვენ სავსებით ნათლად წარმოიდგინოთ იმ სამუშაოთა მოცულობა, ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩვენ უნდა ჩავატაროთ ამ ზაფხულში დამუშავება-გათოხნის კამპანიის დროს მოსავლიანობის აღების პერიოდში,—მე მოკლედ შეეჩერდები ჩვენი სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს კულტურებზე.

ამჟამად ჩვენ გვაქვს 33.066 ჰექტ. ჩაის პლანტაციები. უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში გაშენებულ ჩაის პლანტაციებიდან გადაჰარა მხოლოდ 61,9 პროც. ეს იმისთვის იმით, რომ ჩაის გაშენება ფართობებზე წარსულ წლებში ხდებოდა წინასწარი მელიორაციის და სადრენაჟო სამუშაოების გარეშე, აგრეთვე იმით, რომ ჩაის პლანტაციებს სათანადოთ არ ვუვლიდით. 1932 წ. ჩვენ დიდი მუშაობა ჩავატარეთ განადგურებულ ჩაის პლანტაციების აღსადგენად, დიდი მუშაობა ჩავატარეთ ჩაის ნარგავების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დარგში.

1933 წელს ჩაის კულტურის განვითარებას საქმეში ჩვენ მთავარ ყურადღებას ვაქცევთ არა ფართობების გადიდებას, არამედ არსებულ პლანტაციების ათვისებას. მიმდინარე წელს ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ნამდვილ ღონისძიებების გატარება ჩაის არსებული პლანტაციების დამუშავებისა და მოვლის ხაზით.

ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისათვის წელს ჩვენ ვანხორციელებთ ოთხჯერ გათოხნას იმ პირობით, რომ აუცილებლად უზრუნველყოფილ იქნება დამუშავების მაღალი ხარისხი; გაუთოხნავი არ უნდა დარჩეს ჩაის არც ერთი ბუჩქი, საჭიროა, ამხანაგებო, ისე მოვაწყოთ საქმე, რომ ჩაის პლანტაციების დამუშავებაში არ გავიმეოროთ გასული წლის შეცდომები. შარშან ჩვენ გაგვიჭიანურდა გათოხნის ვადები. მთელ რიგ პლანტაციებში არ ყოფილა ჩატარებული მეორე და განსაკუთრებით მესამე გათოხნა და ჩაის მთელ რიგ პლანტაციებში გათოხნის ხარისხი განსაკუთრებით ცუდი იყო. 20 მაისისათვის ჩაის პირველ გათოხნა საკოლმეურნეო სექტორში შესრულებულია 36,8 პროცენტით. ეს მოწმობს იმას, რომ ჩაის რაიონებმა ჩაის პლანტაციების დამუშავებაში აიღეს ყოვლად დაუშვებელი ტემპი. ცეკამ უკვე გაფრთხილა ჩაის რაიონების ყველა ორგანიზაციებში, რომ მათი მუშაობა შეფასებულ იქნება პირველ რიგში იმის მიხედვით, თუ როგორ მოეწყობა და ჩატარდება ჩაის პლანტაციების დამუშავება მიმდინარე წელს.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკამ თავის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება ში ჩვენს წინაშე დასახა უაღრესად სერიოზული ამოცანა მეორე ხუთწლედის დამლევს ძირითადად დავაქმაყოფილოთ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაინზე. არსებული პლანტაციები ყოველგვარი გაფართოების გარეშე, თუ ისინი სათანადოთ იქნებიან დამუშავებულნი, საშუალებას გვაძლევენ 1938 წლის სახელმწიფოს მივცეთ 20.540.000 კილოგრამი მწვანე ჩაი, რაც შეადგენს ციფრს, რომელიც ფაქტიურად მოხმარებულ იქნა საბჭოთა კავშირში 1932 წელს.

ამისთვის მოვკრიფეთ 2.407.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც ჩვენი ჩაის ფაბრიკებში გადამუშავების შემდეგ მოგვცა 655.000 კილოგრამი მზა ჩაი.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ წელს მოვკრიფოთ 6.000 ათასი კილოგრამი მწვანე ფოთოლი, ანუ 1.509.000 კილოგრამი მზა ჩაი.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და ძნელია ჩვენი ამოცანები თამბაქოს პლანტაციების გაშენების და დამუშავების დარგში.

1932 წელს საქართველომ აფხაზეთთან ერთად ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმა. საქართველოს თამბაქოს ჩაბარების გეგმა შესრულებულია 99,2 პროც., ხოლო აფხაზეთის თამბაქოს—67,8 პროც.

აფხაზეთში გეგმის შეუსრულებლობის მთავარ მიზეზათ, აფხაზეთის პარტორგანიზაციის არა დამაკმაყოფილებელი მუშაობის გარდა, უნდა ჩაითვალოს ის, რომ წარსულში წინდაუხედავად გამოვედენენ თამბაქოს ფართობის გადიდებას დამუშავების ხარისხის საზიანოდ, პლანტატორების შრომითი რესურსების და საწარმოო შესაძლებლობათ გაუთვალისწინებლად, როცა არ არსებობდა მეთამბაქოობის განვითარების წამხალისებელი მინიმალური პირობებიც კი. ამიტომ, ამხანაგებო, ჩვენ



გარდაიქმნას კომკავშირის მუშაობა სოფლად კლასობრივი ბრძოლის ახალ ვითარებასთან შეფარდებით

პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენს სოფელში მიმდინარე წელს დიდად განსხვავდება წინა წლების მდგომარეობისაგან. ნაბიჯები ბოლშევიკური ხელმძღვანელობის საფუძველზე, საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის უშუალო და უახლოესი დახმარებით, საქართველოს პოლშევიკებმა გამოასწორეს ძველი ხელმძღვანელობის მიერ 1931 წელს დაშვებული უაღრესად უხეში შეცდომები

ნიმდინარე წლის გაზაფხულმა გვიჩვენა, რომ ჩვენს სოფელშიც, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, კოლმეურნეთა მასების შორის ნამდვილი გარდატეხა ხდება. ეს გარდატეხა გამოიხატება კოლმეურნეობათა სამეურნეო - პოლიტიკურ და ორგანიზაციულ განმტკიცებაში და კოლმეურნეობათა ერთგვარ ზრდაში, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენში საგაზაფხულო კამპანიის დროს.

საგაზაფხულო კამპანიის მომზადების და ჩატარების დროს კოლმეურნეობებში შევიდა 14.000 მეურნეობა. თუ გავიხსენებთ, რომ გასულ წელს, როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულის დასაწყისში, ადგილი ჰქონდა წევრების ერთგვარ გასვლას კოლმეურნეობებიდან და მათი ადგილის შეჩერებას, ცხადი გახდება, რომ წელს ჩვენ შეგვიძლია შევიდეთ ერთგვარი წარმატებებით საკოლმეურნეო მშენებლობაში. საკოლმეურნეო მშენებლობის ასეთი მდგომარეობა საქართველოში არ შეიძლებოდა არ დატყობოდა როგორც თვით კოლმეურნეთა, ისე მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა განწყობილებას.

სასოფლო- სამეურნეო პროდუქტების დამზადების ახალ მეთოდებს, აგრეთვე საკოლმეურნეო ვაჭრობის გაწყლას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა კოლმეურნეობათა შემდგომ სამეურნეო განმტკიცებაზე, სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის, საქონლიანობის და პროდუქტიულობის აწევაზე, არ შეიძლებოდა არ ეთამაშათ დადებითი როლი სოფლად.

ეი რატომ არის, ამხანაგებო, რომ ეს გაზაფხული იძლევა გარდატეხას კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა ფართო მასების განწყობილებაში. საკოლმეურნეო წყობილება საქართველოში მოიცავს ყველა გლეხურ მეურნეობათა 38,5 პროცენტს. ჩვენში 60 პროც. მეტ ერთპიროვნულ გლეხური მეურნეობებია. მაგრამ, კოლექტივიზაციის ასე თი პროცენტის მიუხედავად ჩვენში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საკოლმეურნეო წყობილება საფუძვლიანადაა განმტკიცებული. ეს ყველაფერი ეჭვს გარეშეა, და ჩვენი ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მშრომელი ერთპიროვნული მეურნენი — ხვალინდელი კოლმეურნენი საბოლოოდ დავარწმუნოთ საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობაში, გაუხსნათ მათ კოლმეურნეობათა კარი და ყოველნაირად ღვაწლობდეთ მათ შევიდენ კოლმეურნეობაში. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ ამოცანის განხორციელებას დიფერენცირებულად უნდა მივდგეთ, რომ ამ ამოცანის შესრულება ჩვენს ზოგიერთ ჩამორჩენილ რაიონში უფრო ძნელი უფრო რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება, ვიდრე მოწინავე რაიონებში. საქართველოს ზოგიერთ რაიონში ეს მუშაობა უფრო სწრაფად ჩატარდება, ზოგიერთში კი უფრო ნელა; მაგრამ ყველა რაიონებში ჩვენ უნდა გავშალოთ უდიდესი მასიური - პოლიტიკური და ორგანიზატორიული მუშაობა, ორგანიზაციულად ჩაუდგეთ სათავეში ერთპიროვნულ მეურნე მშრომელ გლეხობას გაძლიერებულ მისწრაფებას კოლმეურნეობებისაკენ, ამავე დროს განვაგმირთ გაღრმავებული მუშაობა არსებულ კოლმეურნეობათა სამეურნეო - პოლიტიკური და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის და დავაქციოთ ეს კოლმეურნეობანი მაღალ შემოსავლიან მეურნეობებად.

ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესრულებას ჩვენ იმ პირობით შევასრულებთ, თუ ნამდვილად გავითვალისწინებთ ახალ ვითარებას სოფლად და მოვახერხებთ მუშაობის გარდაქმნას ახალ ვითარებასთან შეფარდებით.

კომკავშირის საკავშირო თათბირმა კომკავშირის მონაწილეობის შესახებ საგაზაფხულო თესვის კამპანიაში, თათბირმა, რომელზედაც გვქონდა ამხ. სტალინი ნათლად გვიჩვენა, რომ კომკავშირის სოფლის ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილის ჯერ არ გარდატეხილა მუშაობა სოფლად პარტიის მუშაობის ახალ ამოცანებთან შეფარდებით. ეს დასკვნა, გაკეთებული კომკავშირის საკავშირო თათბირზე, გაზაფხულის დასაწყისში, მთლიანად და სავსებით შეეხება საქართველოს კომკავშირსაც. საქართველოს კომკავშირს არა მარტო გაზაფხულის წინ, არამედ საგაზ. მუშაობის ჩატარების პროცესში ჯერ კიდევ არ გარდატეხილა, თუ ბამბის ნათესის ფართობზე; ამ ოთხკერადი გათოხნის შემდეგ ნაგვიანევი სარეველა-ბალახი გაჩნდება, ჩვენ ვალდებულნი ვართ სარეველა ბალახ-მოდებულ ყველა უბნებზე ჩავატაროთ მეხუთე გათოხნა 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე. ამასთან ერთად, მტკიცედ უნდა აჭნას დაცული ბამბის მინდვრების მორწყვის ვადები.

ბამბის რაიონების პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა დაარაზმონ ყველა თავისი ძალები იმისათვის, რომ მთლიანად ჩატარდეს დაწესებულ ვადებში ყოველგვარი სარეველა ბალახებთან და ასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის მოწყობის დარგში.

ბოლოს, რამოდენიმე სიტყვა შაქრის ჭარხლის შესახებ. შაქრის ჭარხალი ახალი კულტურაა საქართველოსათვის. შარშან სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა, ყოველ მუშაობის მეოხებით, მხოლოდ 24,4 პროცენტით იქნა შესრულებული. წელს ჩვენ თავის დროზე გავშალოთ მოსამზადებელი მუშაობა შაქრის ჭარხლის რაიონებში და ამის შედეგად შაქრის ჭარხლის თესვა ჩვენ მთლიანად დავამთავრეთ 1 მაისისათვის. მაგრამ შაქრის ჭარხლის რაიონებში, ისე როგორც ბამბის რაიონებში, ადგილი აქვს დიდ სიძნელეს დამუშავება - გათოხნის კამპანიის წარმოებაში. ამავე დროს კი შაქრის ჭარხლის მინდვრების მოსავლიანობას, ისე როგორც ბამბის მინდვრების მოსავლიანობას, თითქმის სანახევროდ წყვეტს შაქრის ჭარხლის თავის დროზე და მაღალხარისხოვანი დამუშავება.

დანარჩენი კულტურების — ვენახის, ბოსტნის, კართოფილის, ხილის ბაღის, ციტრუსების; სიმინდის და სხვ. დამუშავება - გათოხნის ამოცანები ავრეთვე მოითხოვენ დიდი მუშაობის ჩატარებას.

ასეთია, ამხანაგებო, ჩვენი მიდგომის და მრავალწლიანი ნარგავების დამუშავება - გათოხნის სამუშაო პოცესი. ეს ჩვენ გვაკისრებს კვლევებულებას ბოლშევიკურად მოვაწყვეთ შრომა, სწორად გავანაწილოთ ძალები, აგვრიცხ შრომის ნაყოფიერება, გავმაღლოთ ნამდვილი დაკვრელობა და უზრუნველვყოთ ეს უმნიშვნელოვანესი კამპანია კონკრეტულ ოპერატიული ხელმძღვანელობით.

გავაკეთოთ ეხლავე, დაუყოვნებლივ, თუ ჩვენ გვინდა უზრუნველყოთ კომკავშირის ნამდვილი მონაწილეობა დამუშავება - გათოხნის და მოსავლის აღების კამპანიის ორგანიზაციასა და ჩატარებაში.

საჭიროა სასწრაფოდ შევამოწმოთ კომკავშირულ ძალების განაწილება დამუშავება - გათოხნის სამუშაოების გადამწყვეტ უბნებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში.

უნდა მოვაწყოთ სოფლის კომკავშირის აქტივის და პირველ რიგში კოლმეურნეობათა გამგეობების წევრთა, ბრიგადირების, მოანგარიშეების, შრომის აღმრიცხველების, ტრაქტორისტების, მომრწყველების, საბჭოთა მეურნეობების მუშების და სხვ. კონკრეტულ - ოპერატიული ინსტრუქტაჟი.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლად კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობისათვის პასუხისმგებელნი არიან არა მარტო კომკავშირის რაიონული კომიტეტები და კომკავშირის ცეკა, არამედ ჩვენი პარტიული კომიტეტებიც.

ახალი ვითარება სოფლად, სოფლად ჩვენი მუშაობის პირობების შეცვლა, უაღრესად აძლიერებს ჩვენს პასუხისმგებლობას და ჩვენს საზრუნავს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ჩვენ დაუღალავად უნდა ვიბრძოლოთ კომუნისტისა და კომკავშირელის ხელმძღვანელ როლის გაძლიერებისათვის სოფლის მეურნეობის ამაღლების საქმეში, სასოფლო - სამეურნეო წარმოების ტეხნიკის დაუფლების საქმეში.

ჩვენ კოლმეურნეობების ხელმძღვანელობა მთლიანად და სავსებით უნდა ავიღოთ საკუთარ ხელში, საბოლოოდ განვდევნოთ კოლმეურნეობების ხელმძღვანელობიდან ანტისაბჭოთა ელემენტები, ჩავსწვდეთ საკოლმეურნეო ცხოვრების და საკოლმეურნეო ხელმძღვანელობის მარტივ უკანასკნელ რიცხვებში „კომსომოლსკაია პრავდა“-ში დაბეჭდილი იყო ძლიერ სამართლიანი შეფასება გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს შესახებ სათაურით: „გაზაფხული საქართველოში ჯერ არ დაწყებულა“.

ამ შენიშვნაში აღნიშნული იყო გაზეთის ნაკლოვანებები, როგორიც არის: არაოპერატიულობა, არასაჭირბოროტო ხასიათი, ოფიციალური მასალების სამრავლე, არა საკმაო ყურადღება სოფლისადმი, სოფლად კომკავშირის მუშაობის არასაკმაოდ გაშუქება და სხვ.

ამის შემდეგ, თვე ნახევარზე მეტი გავიდა და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“ ჯერ კიდევ სამაგად არ გარდაუქმნია თავისი მუშაობა. ის ძველებურად იძლევა სოფლად ჩვენი მუშაობის უმთავრესი საკითხების ზოგად გაშუქებას და არა საკმაოდ ახდენს სოფლად კომკავშირის ორგანების პოლიტიკური ბრძოლის უბერიტნობის მობილიზაციას. საჭიროა ზომების მიღება, რომ „ახალგაზრდა კომუნისტ“-ი გადაქცეულ იქნას კომკავშირის შესაფერ მებრძოლ ორგანოდ.

ვაგრძ. იხ. მე-2 გვ.

ვისწავლოთ ბეზენჩუკელებისაგან

ბოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის ბრძოლა

ბეზენჩუკელების გზით

„ჩვენ მივალწიეთ იმას — ამბობდა **ამხ. სტალინი** დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობაზე — რომ დავეხმარეთ ღარიბთა მილიონიან მასებს შესულიყვნენ კოლმეურნეობებში. ჩვენ მივალწიეთ, იმას, რომ ღარიბთა მილიონიანი მასები, როცა ისინი შეიდნენ კოლმეურნეობებში და დაიწყეს იქ უკეთესი მიწით და უკეთესი საწარმოო იარაღებით სარგებლობა, გაუთანასწორდენ საშვალო გლეხებს. ჩვენ მივალწიეთ იმას, რომ ღარიბ გლეხთა მილიონიანი მასები, რომლებიც წინათ სცხოვრობდენ ნახევრად მშიერი, კოლმეურნეობებში ახლა გადაიქცნენ საშუალო გლეხებად, გადაიქცნენ უზრუნველყოფილ ადამიანებად“.

ამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებს პარტიამ მიაღწია გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრების, კულაკების და სხვა კონტრრევოლიუციონური ელემენტების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლით. ფაქტია რომ ჩვენი კოლმეურნეობები ყოველდღიურად მაგრდებიან და მტკიცდებიან, ისინი თანდათან უფრო რენტაბელურნი ხდებიან. იზრდება საკოლმეურნეო წარმოება და თვით ეული კოლმეურნის შემოსავალი. კოლმეურნეობაში გაერთიანებული ღარიბეს გლეხობას საშუალება მიეცა სულ რაღაც 2—3 წლის განმავლობაში ქონებრივად ამაღლებულიყო საშუალო გლეხობის დონემდე. ეს პარტიის გენერალური ხაზის ბრწყინვალე გამარჯვებაა.

მაგრამ პარტიას რასაკვირველია არ შეუძლია დაკმაყოფილდეს ამ მიღწევებით. **„რომ დავიძრათ წინ და ხანძოკლედ განვამტკიცოთ კოლმეურნეობები, უნდა გადავდგათ მეორე ნაბიჯი, ჩვე უნდა მივალწიოთ ახალ წარმატებას. რ ში მდგომარეობს ეს მეორე ნაბიჯი? იგი მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო ვამლიერით კოლმეურნეები, ყოფილი ღარიბი გლეხებიც და ყოფილი საშვალო გლეხებიც. იგი მდგომარეობს იმაში, რომ გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად“** (სტალინი).

მაგრამ იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეები გადავაქციოთ შეძლებულებად, საჭიროა მანქანებისა და ტრაქტორების გამოყენების გაუმჯობესება, მიწის დაშენების ხარისხის ამაღლება, შრომის მოწესრიგება. ზარმაცობის, სიმულიანტობის აღკვეთა და ყველა კოლმეურნეობებას ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად გადაქცევა.

და აი ამხ. სტალინის სიტყვის და დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის მიმართვის საფუძველზე გაიშალა უდიდესი მუშაობა კოლმეურნეობათა განმტკიცების, მოსავლიანობის აწევის და თითეული კოლმეურნის შემოსავლის გადიდების უზრუნველსაყოფად.

თავიანთ წერილში ამხ. **სტალინისადმი** ბეზენჩუკელი კოლმეურნეები მოგვითხრობენ იმ გრანდიოზული მუშაობის შესახებ, რომელიც მათ რაატარეს ხარისხის გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცების დარგში. გადიდებული საფიესი ფართობის მიუხედავად **წელს ბეზენჩუკელებმა ესვა დაამთავრეს უადრესად მოკლე ვადაში.** „ეს მოხდა იმიტომ, სწერენ ბეზენჩუკელები თავიანთ მეორე წერილში ამხ. სტალინს — რომ ჩვენმა **კოლმეურნეებმა ისწავლეს მუშაობის უკეთ მოწყობა. ბრიგადა განმტკიცდა. თვითეულ ბრიგადას აქვს თავისი გეგმა, თავისი მიწა, ყავს მუდმივი ხალხი. ბრიგადები შერჩეულნი არიან უკეთესად... ეხლა ჩვენ ვხედავთ, ვფარცხავდით და ვთესავდით არა ყველა ერთად, არამედ რგოლებით. უფრო მკაცრად ხდებოდა მუშაობის აღრიცხვა და შემოწმება... ეხლა კოლმეურნეები უფრო სხვანაირად ეკიდებიან მუშაობას არ იყო საჭირო ვიმეცადინოთ შეხვედწა გამოსულიყო სამუშაოზე, ისინი თვითონ გამოდიოდნენ და საყვედურსაც კი გამოსთქვამდენ, თუ თვითეულისათვის არ აღმოჩნდებოდა სამუშაო... დისციპლინა ჩვენში ახლა სასტიკად ტარდება იმ პირებს, რომელნიც არ გამოვლენ სამუშაოდ. ჩვენ ვაჯგარიმებთ“.**

ბევრი რამ აქვთ ბეზენჩუკელებს, რომელიც ჩვენ უნდა ვისწავლოთ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ჩვენი კოლმეურნეობები და ცალკე კოლმეურნეები იჩენენ ბეზენჩუკელების წერილისადმი. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენს კოლმეურნეობში ბეზენჩუკელების უკანასკნელმა წერილმა სტალინისადმი. საქმე თვეების მთელი რიგი მოწინავე კოლმეურნეები ამ წერილის დამუშავებას მჭიდროდ უკავშირებენ შრომის ორგანიზაციის უკეთესად დაყენების, შრომის დისციპლინის განმტკიცებაა, საკოლმეურნეო ბრიგადების გამაგრების, ნათესების მოვლა – დამუშავების, მოსავლიანობის, განსაკუთრებით ტენიანი კულტურების მოსავლიანობის აწევის და ყველა კოლმეურნეების შეძლებულებად გადაქცევის კონკრეტულ ამოცანებს.

დღეს თბილისში ჩამოდის ბეზენჩუკის მოწინავე კოლმეურნეთა დელეგაცია. დელეგაციის მიზანია გამოცდილების ურთიერთ გაზიარების წესით გააცნონ ჩვენს კოლმეურნეებს თავიანთი მუშაობის მეთოდები და ფორმები. გააცნონ **ის ხერხები**, რომელთა საშვალებითაც მათ მიაღწიეს შრომის მოწესრიგებას, თესვის გეგმების ვადაზე ადრე შესრულებას, მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა წარმატებით გატარებას და ღარიბ საშვალო გლეხთა მისწრაფების გაძლიერებას კოლმეურნეობებისაკენ.

ადგილობრივი პარტორგანიზაციების და განსაკუთრებით ცენტრალური, რაიონული და ძირეული პრესის ვალია **გაშალონ ნამდვილი ბოლშევიკური მუშაობა ბეზენჩუკელ კოლმეურნეობათა გამოცდილების გადმოსატანად.** ეს გამოცდილება უდიდეს დახმარებას გაუწევს ჩვენს კოლმეურნეობებს იმ ნაკლოვანებების გამოსწორებაში, რომელნიც მათ ჯერ კიდევ არ აქვთ თავიანთი წარმოების გაძლოლისა და განმტკიცების საქმეში.

არ უნდა დარჩეს არც ერთი კოლმეურნეობა, სადაც დაწვრილებით არ დამუშავდება ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა, წერილი სტალინისადმი. ამ წერილის დამუშავება მტკიცედ უნდა დაუკავშირდეს თესვის გეგმების ყველა მაჩვენებლების მთლიანად შესრულების, ნათესების მოვლა-დამუშავების, მოსავლის აღებისათვის მზადების, ადრეული საანეულო ხვნის თამბაქოს გადარგვის ვადაზე დამთავრების, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დროზე შესრულების, შრომის დისციპლინის განმტკიცების და კოლმეურნეობებში ღარიბი და საშუალო გლეხთა ახალი მასების მიზიდვის კონკრეტულ ამოცანების.

თითეულ კოლმეურნეობამ ბეზენჩუკის კოლმეურნეთა დელეგაციის ჩამოსვლის საპასუხოთ უნდა აიღოს მოსავლიანობის გადიდების ვალდებულებები და იბრძოლოს მათი იქ შესრულებისათვის, როგორც ეს ამას ვიათ ბეზენჩუკელებს.

ბეზენჩუკის კოლმეურნეთა დელეგაციის ჩამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელი მასების ინტერნაციონალური აღზრდის თვალსაზრისითაც. ბეზენჩუკელების ჩამოსვლა მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა სწორის სწრაფი იზრდება მისწრაფება ლენინური სოციშენებრობის და ურთიერთ დახმარების საფუძველზე თავდადებით იბრძოლონ საერთო მიზნის—მეორე ხუთწლედში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების წარმატებით დამთავრებისათვის.

ვისწავლოთ ბეზენჩუკელებისაგან ბოლშევიკური კოლმეურნეობის კონკრეტული ბრძოლა, ვისწავლოთ საკოლმეურნეო წარმოების ისე დაყენება, რომ გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, აწეულ იქნეს მოსავლიანობა და უახლოეს მომავალში მიღწეული ბელადის იმ მითითებების შესრულება, რომელნიც ყველა კოლმეურნეობა შეძლებულებად გადაქცევას შეეხება.

ჩვენი მხურვალე ბოლშევიკური სალამი შუა ვოლგის მხარის ბეზენჩუკის რაიონის კოლმეურნეთა დელეგატებს სოციალისტური მინდვრების მოწინავე დამკვრელებს, საგაზაფხულო თესვაში ბრწყინვალე გამარჯვების ორგანიზატორებს. საკოლმეურნეო მშენებლობის მიღწევათა საუკეთესო პროპაგანდისტებს, ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის თავდადებულ მებრძოლთ.

ბეზენჩუკელების შესახვედრათ მზათაა ყველა ბრიგადები და ჯგუფები

სტალინისი, 22 მაისი. სოფელ ფლევის კოლმეურნ. ერთერთი მოწინავე კოლმეურნეობაა რაიონში. კოლმეურნეობა დარაზმა მასები კულკის. ზარმაცის და წუნის გამომშვების წინააღმდეგ საბრძოლველად, რის შედეგადაც ვადაზე ადრე შეასრულა თესვის გეგმა. შაქრის ჭარხალი დათესილია 51 ჰექტარზე. 21 მაისისათვის ჭარხლის დამუშავება ჩატარდა 45 ჰექტარზე. პირველი ბრიგადის დანარჩენი ჯგუფები 40 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს.

ამხ ნოზაძის ბრიგადაში ადგილი არა აქვს სამუშაო დღის გაცდენის და დაგვიანების შემთხვევებს. ხარისხისა თვის ბრძოლა მოქცეულია ბრიგადაში, რგოლში.

ბეზენჩუკელი კოლმეურნეების შესახვედრად მზათაა კოლმეურნეობის ყველა ბრიგადები და ჯგუფები.

საგაზაფხულო თესვაში გაიმარჯვება მეორე ბრიგადამ ცვალებადელ წითელარმიელი ამხ. **კაპანაძის** ხელმძღვანელობით. გარდამავალი დროშა, რომელიც მიიღო ბრიგადამ, სასახელოდ უჭირავს მას.

კოლმეურნეობა ემზადება მოსავლის აღების ჯამპანიისათვის. მთელი ინვენტარი აღებულია აღრიცხვაზე, დაიწყო რემონტი. **ფლევის კოლმეურნეებმა, რომლებმაც დაამუშავეს ბეზენჩუკელ კოლმეურნეების მიერ ამხ. სტალინისათვის გაგზავნილი წერილი, დაადგინეს — ჭარხლის დამუშავება დაამთავრონ 24 მაისს, მისი გათხრა დაიწყონ 25 მაისს და სიმინდის გათოხნა დაამთავრონ 27 მაისს.** 21 მაისისა თვის გადაჭარბებით იქნა შესრულებული ფლევის სასოფლო საბჭოს საკოლმეურნეო სექტორის საკონტროლო ციფრი. სოფელ ფლევის კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს 6050 მანეთის სესხს (ადს).

მოწინავე ბრიგადები და კოლმეურნეები

(„კომუნისტი“-ს გაზსვლელი ბრიგადისაგან)

სოფ. გალავანის (ტყალინის რაიონი) კოლმეურნეობა გაცხოველებით ემზადება და ძცვრელ კოლმეურნეთა რესპუბლიკანურ ყრილობისათვის საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 10 მარტის დადგენილების დასრულებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობამ და ცალკე კოლმეურნეობის ბრიგადებმა აიღო მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებები.

ორდენოსან კომლეურნეთა ბრიგადამ იკისრა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება იმის შესახებ, რომ ყრილობაზე დასწრების უფლება მიეცეს მხოლოდ იმათ, რომლებიც მთლიანად შეასრულებენ თესვის გეგმას, გაუმჯობესებულ მუშაობის ხარისხს, აღწევენ მოსავლიანობას.

— მე უკვე მოვიპოვე დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე დასწრების უფლება —ენთუზიაზმით, ამაყად გამომეტყველებით აცხადებს ბაღარა კორძეულნე ვასო რაზმაძე, რომელმაც დაწვრილებით გვიამბო თუ როგორ შეასრულა თესვის გეგმა და როგორ იბრძვის მუშაობის ხარისხისათვის.

— არც ერთი საშუალო დღე არ გამიცდენია. თესვა ვადამდე დავამთავრეთ. ეხლა ნათესებს ვთხრით—განაგრძობს რაზმაძე.

ასეთი რაზმაძეები ბევრი ყავს სოფ. გალავანის კოლმეურნეობას. მისი ხმაფერა ბრიგადის, სანდრო გასიტაშვილი, გიორგი ჩიტაშვილი, მისი გურასპაშვილი, სტეფანე კუთაშვილი, არჩილ ბეზნაშვილი, იასონ ბეზნაშვილი, ლეკუშა საათაშვილი—ეი ისინი, რომლებმაც მოგვცეს მაღალი მოსავლიანობისათვის ბოლშევიკური ბრძოლის მაგალითები.

— შაქრის ჭარხლის თესვა —გვიამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე—ვადამდე 7 დღით ადრე შევასრულეთ 125 პროცენტით გვაზაფხულის ქერის 10 დღით ადრე 117.4 პროცენტით. სიმინდის თესვა დავამთავრეთ 15 მაისის ნაცვლად 10 მაისს. ჯერ-ჯერობით თესვის გეგმა 100 პროც. შევასრულეთ ვადამდე 15 დღით ადრე. დაც თესვით უგრძესია 5 ჰექტარი გეგმის 100 პროცენტი, ლობიო 25 ჰექტარის ნაცვლად 33,1 ჰექტარი.

130 კოლნი სულ გაერთიანებული კოლმეურნეობაში—195 მეურნე-ხელოსნ. აქედან 107 ქალია. 6 საკოლმეურნეო ბრიგადის 417 ჰექტარი მიწის ფართობით. სოციალისტთა დაფენებული საკოლმეურნეო ატივთან მუშაობა. მოწინავე დამკვრელებს, სოციშენებრობაში გამარჯვებულნი, ბრიგადირები გამგეობის და სარედაქციო კომისიის პრემიებით წელსაც—აი ისინი, რომლებიც ორიცხებიან ატივეთა სიაში.

კოლმეურნე ატივისტები დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობის გამგეობას შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და ხარისხისათვის ბრძოლაში, ასე მაგალითად: 19 მაისს № 4 ბრიგადის წევრებმა, ტატე, შაქრო და დათიკო ბეზნაშვილებმა, ვასტაბე და დათა რაზმაძეებმა ცუდად თოხნილებ სიმინდს. ეს შეატყვეს ატივურ კოლმეურნე ბაგრატ მელებაშვილმა და აცნობა კოლმეურნეობის გამგეობას. რის შემდეგაც მდგომარეობა გამოსწორდა. ამავე დღეს № 3 ბრიგადის წევრები ხანდრო ბერუაშვილი და იასონ ნასყიდაშვილი გაგზავნეს არხზე წყლის მოსარწყავად, მაგრამ ისინი წაიყვნენ ადრე სამეურნეო. ეს მდგომარეობა გამოაკრიტიკა ატივურ კოლმეურნე გიორგი ეგნატაშვილმა შრომის დეზორგანიზების მიმართ მიღებული იქნა სათანადო ზომები.

ყველა ბრიგადაში გამოყოფილია ხარისხის შემოწმებელი ინსპექცია. მუშაობის შეფასება ხდება ხარისხის მიხედვით. ყოველ 5 დღეში სწარმოებს ნამუშევრის აღრიცხვა და შრომის წიგნაკებში ჩაწერა.

მოსავლიანობის გადიდებას კოლმეურნეობა წელს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ყველა ბრიგადას მიეცემული აქვს მოსავლიანობის გადიდების კონკრეტული ვალდებულება, ასე მაგალითად: **მიმდინარე წელს 1 ჰექტარზე ხორბლის მოსავალი 8,1 ცენტნერიდან უნდა გაიზარდოს 4 ცენტნერამდე. ქერის 4 ცენტნერიდან 4,5 ცენტნერამდე. სიმინდი გაიზარდოს თითეული ჰექტარიდან აღებული იქნა 8,6 ცენტნერი, წელს კი მოსავალი უნდა გაიზარდოს 6 ცენტნერამდე. შაქრის ჭარხლის მოსავალი უნდა გაიზარდოს გასული წლის 48 ფუთი დან 360 ფუთამდე და სხვ.**

ყველა საკოლმეურნეო ბრიგადაში გამოდის **ყოველდღიური** კედლის გაზეთი, რომელშიაც შუქდება ბრიგადის ყოველდღური მუშაობის შედეგები.

— „დღეს ბრიგადა მთელი შემადგენლობით გავიდა სამუშაოზე. აცილდა მხოლოდ 1 კაცი მიხა გურასპაშვილი, რომელიც შაქრის ჭარხლის კულტივატორზეა გაგზავნილი. ბრიგადიდან 16 მუშაობდა სიმინდის თოხნაზე, 14 ქალი კი—მოგლიდა ჭარხალს. ჩვენი ბრიგადა სისტემატიურად აჭარბებს დღიურ გეგმებს. უმეტესი ნაწილი თავგამოდებით მუშაობენ. დღეს ბრიგადამ 1,28 ჰექტარის ნაცვლად გათოხნა 2 ჰექტარი ჭარხალი. გეგმა შესრულია 156 პროცენტით“—სწერდა № 1 ბრიგადის ყოველ გათვლი 19 მაისს.

— **„შაქრო გურასპაშვილმა ღარი განაღა სამუშაოზე.** აპრილში მან გააცდინა ერთ-ერთზეთი რამოდენიმე სამუშაო დღე. მოცა ამის შესახებ გაფრთხილება, მაგრამ იგი მაინც არ სწორდება. 18, 19, 20 მაისს შაქრის სრულიად არ უმუშავია ბრიგადაში. უკანასკნელ ხანებში თავლიათობა ემჩნეოდა ეგნატაშვილსაც. იგი დღეს არ გაჯერდა სამუშაოზე. „ვამდუმეთ“—ვიმსჯელეთ ბრიგადაში. კოტე კი—დღეს მის კეთრთ საქმეზე მუშაობს. შრომის დეზორგანიზებს ასრულებენ მოეთხოვნის“—ითქვა ყრილობაზე № 3 ბრიგადის კედლის გაზეთი 21 მაისს.

— „შაქრის ჭარხლის ბრიგადირი გიორგი ჩიტაშვილმა და მისა ხამფერანშვილმა ნათესების დამოწმებით ხარისხს მეტ ყურადღება უნდა მიაქციონ. საჭიროა ჯგუფურ-ინდივიდუალური გამტკიცება. კარგი იქნება თუ ეს ბრიგადა გაეცნობა და გაიზიარებს № 4 ბრიგადის ხელმძღვანელ ილია ბუზიაშვილის გამოცდილებას, რომელსაც სატეფთესო აქვს დაყენებული ეს მუშაობა“—სწერდა № 5 ბრიგადის კედლის გაზეთი 20 მაისს და ა. შ.

კოლმეურნეობის მუშაობის სიმძიმის ცენტრი აშკარად გადატანილია ნათესების დამუშავებაზე. შეფუშავებულია ნათესების დამუშავების კონკრეტული გეგმა. 21 მაისისათვის კოლმეურნეობას ნათესებიდან ჩრნდა შაქრის ჭარხალი 35 ჰექტარი, სიმინდი 8 ჰექტ., ბოსტნეული 0,5 ჰექტარი და სხვ.

სოფ. გალავანის კოლმეურნეობის გამოცდილება უნდა გაიზიაროს სხვა და ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობებმა.

ტ. აბანელი, ბ. აფხაზავა.

სოფ. გალავანი.
21 მაისი, 1933 წელი.

ბეზენჩუკელების გამოცდილების საფუძველზე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

გორის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობებში ბეზენჩუკელების გამოცდილების გადმოტანით უზრუნველყეს შაქრის ჭარხლის გეგმების გადაჭარბებით შესრულება. ჭარხლის პირველი თოხნა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ მოცემულ ვადაზე ხუთი დღით ადრე იქნა შესრულებული; **კარალეთის, ტყვივიეთ, ქვეშის და ხურვალეთის კოლმეურნეობების მიერ.**

ამხ. სტალინისადმი ბეზენჩუკელთა მეორე წერილს ხსენებული კოლ-ბი გამოეხმაურენ კონკრეტული ვალდებულებების აღებით. ამ ვალდებულებების თანახმად დაკვირვით წესით უნდა დამთავრდეს შაქრის ჭარხლის პირველი თოხნა. და აყვანილი იქნას ხელმძღვანელი როლი სოფლის ორგანიზაციების მიმართ, უნდა გაატმეორებინონ თავიანთი მუშაობა სოფლისათვის სისტემატიური და კონკრეტული დახმარების აღმოჩენის საქმეში. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების უფროსებში, სპეციალისტებში, ბრიგადირებში, — სოფლად ეს ნამდვილი საბრძოლო პოლიტიკური რგოლები —განმტკიცებულ უნდა იქნან კომკავშირის შემოწმებული და გამობრძმედილი კადრებით.

საქართველოს კომკავშირმა გასულ წელს ჩაშალა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული უჯრედების მდიენების გადამზადების შესახებ მოცემულ უმნიშვნელოვანესი დირექტივების შესრულება. საქართველოს კომკავშირმა ეს შეცდომა დაუშვა იმიტომ, რომ პირუტყვის სწორად გამოყენება, საკოლმეურნეო საკუთრებისადმი გაფრთხილება, ნამდვილი ბრძოლის ორგანიზაცია მოსავლიანობის გადიდებისათვის, ვაითხვნა – დამუშავების კამპანიის ყველა პროცესების თავის დროზე ჩატარება, მიმდინრების დამუშავების მაღალი ხარისხი, მოსავლის აღებისათვის თავის დროზე მზადება და მისი ორგანიზაციულად ჩატარება.

იმისათვის, რომ ნამდვილად გაიშალოს მასიურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა სოფლად, საქართველოს კომკავშირის ცეკამ, პარტიის ცეკას მაგალითის მიხედვით, უნდა განამტკიცოს კადრებით სოფლად მუშაობის ყველა უმნიშვნელოვანესი რგოლები, უნდა გაიგზავნოს კოლმეურნეობებში, სამანქანო – სატრაქტორო სადგურებში და საბჭოთა მეურნეობებში კომკავშირელთა სავსებით შემოწმებული და მტკიცე კადრები; უნდა გაიგზავნოს საუკეთესო და შემოწმებული კადრები ჩამორჩენილ რაიონებსა და სოფლებში.

კომკავშირის საქალაქო ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ თავისი ხელმძღვანელი როლი სოფლის ორგანიზაციების მიმართ, უნდა გაატმეორებინონ თავიანთი მუშაობა სოფლისათვის სისტემატიური და კონკრეტული დახმარების აღმოჩენის საქმეში. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების უჯრედების, საკოლმეურნეო და სატრაქტორო ბრიგადები

დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშათა და საინჟენერო ტეხნიკურ ძალთა ხელფასის შესახებ

ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის დადგენილება

სახ.კ. სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ა აღნიშნავენ, რომ დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშათა შრომის ანაზღაურების საქმეში ადგილი აქვს დიდ დაბნეულობას, რაც დაშვებულია სამეურნეო და პროფესიონალი ორგანიზაციების მიერ. აღნიშნული დამახინჯებანი გამოიხატება იმაში, რომ სხვადასხვაგვარია გამომუშავების ნორმა და შეფასება ერთნაირ სამუშაოებზე, მეტად რთული და დაქუცმაცებულია ნორმები. მათი დაწესების დროს არ არის ისინი მტკიცე ნორმირების მუშაობის პრაქტიკაში, რაც აკავებს გაცდენებს და დეფექტებს და უაღრესად რთულია პროგრესული ანაზღაურების დარღვევა. ყოველივე ეს იწვევს დიდ არევ-დარევას ნორმების დაწესების საქმეში. და იმას, რომ მუშათა დიდი უმრავლესობა არ იცნობს მისთვის დაწესებულ ნორმებს და შეფასებას, იგი არ არის გაცნობილი ხელფასის პროგრესული ანაზღაურების და ჯილდოს დარღვევის პირობებსა და მეთოდებთან, რის გამო მას არა აქვს საშუალება თვითონ გამოიანგარიშოს და შეამოწმოს, თუ რამდენად სწორათაა გამოანგარიშებული მისი ხელფასი.

ასეთი მდგომარეობის დროს სანარდო სტატიას ეძლევა ფორმალური ხასიათი და იგი ვერ იძლევა სტიმულს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

აღნიშნავს რა, რომ ხელფასი, გამოანგარიშების ნორმები და შეფასება არ წარმოადგენენ დღემდე ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის ხელში ძირითად ბერკეტს შრომის ორგანიზაციისა და მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის ბრძოლაში, ცკ-ა და სახკომსაბჭო სრულიად დაუშვებლად სცნობენ ისეთ მდგომარეობას, როცა მაღაროების გამგე, მაღაროს მთავარი ინჟენერი და უბნის უფროსი ფაქტიურად არ ღებულობენ მონაწილეობას ორგანიზაციას გამომუშავების ნორმების და შეფასების დაწესებაში, ისე ხელფასის მოწესრიგების საქმეში. სამადნო ების მმართველობას და დირექტოროის უფრავლესობა არ არის გაცნობილი ხელფასის და შრომის ნორმების არსებულ სისტემასთან, ხოლო ცნობარების და ნორმების ცხრილებს, რომლებიც გამოდის დიდი რაოდენობით, ბიუროკრატიულად ეკიდებიან ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელები ისე, რომ არსებითად არ სწარმოებს მათი განხილვა კრიტიკულად.

ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ა ვალდებულ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ქვანახშირის მთავარ სამმართველოს):

1. აღმოფხვრას გამომუშავების ნორმების და შეფასების მრავალრიცხოვანობა და მრავალფეროვანობა, რაც მისულია უკიდურეს სიმამდე და რაც არის შედეგი არა სწორი თვალსაზრისისა — გაითვალისწინოს სულ მცირეოდენი თავისებურებანი და გადახრები სამუშაოების პირობებში. ცკ-ა და სახკომსაბჭო სცნობენ, რომ ნორმების არსებული სისტემა ვერ იძლევა საშუალებას დროულად და სრულიად დააკმაყოფილოს ნორმების ცვლილების აუცილებლობა, რომელიც გამოწვეულია ტექნიკის ზრდით და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებით. ამიტომ ნორმების ცვლილება უნდა ხდებოდეს ისეთი ხერხით, რომ ნორმების ცვლილების ინიციატივა ეკუთვნოდეს მუშებს, ხოლო ნორმების ცვლილება ხდებოდეს ნორმების ტარიფიკაციის კომისიის მიერ, მუშათა მონაწილეობით;

2. ნორმების ცვლილების დროს ნორმების გადიდება ან შემცირება არ უნდა ხდებოდეს ნორმების ტარიფიკაციის კომისიის მიერ, მუშათა მონაწილეობით, ნორმების ცვლილების ინიციატივა ეკუთვნოდეს მუშებს;

3. ნორმების ცვლილების დროს ნორმების გადიდება ან შემცირება არ უნდა ხდებოდეს ნორმების ტარიფიკაციის კომისიის მიერ, მუშათა მონაწილეობით, ნორმების ცვლილების ინიციატივა ეკუთვნოდეს მუშებს;

4. ნორმების ცვლილების დროს ნორმების გადიდება ან შემცირება არ უნდა ხდებოდეს ნორმების ტარიფიკაციის კომისიის მიერ, მუშათა მონაწილეობით, ნორმების ცვლილების ინიციატივა ეკუთვნოდეს მუშებს;

5. ნარდად მომუშავეთათვის ხელფასის გამოანგარიშება წარმოებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ ცალკე შეფასების მიხედვით, ამასთან სატარიფო განაკვეთი შეინარჩუნებულ იქნას მხოლოდ სანარდო შეფასების გამოხატვანგარიშებლად. მუშათა ხელმძღვანელ კატეგორიებისათვის და ნარდად მომუშავე მეფისტებისათვის და ა. შ. ნორმების არსებული სისტემის ნაცვლად დაწესდეს პროგრესიული ანაზღაურების პრინციპის მიხედვით

მუშათა ხელფასის გადიდების შესახებ, განსაკუთრებით პროგრესის და დაჯილდოების გაძლიერებასთან დაკავშირებით

დამტკიცდეს მძიმე მრეწველობის სახალ-ხო კომისარიატის ეშმდეგი ღადგენილება:

შრომის პროგრესიული ანაზღაურების შესახებ

1. მიწის ქვეშ მომუშავე მუშათა ხელმძღვანელ პროფესიებისათვის (საჭრელი მანქანების მემანქანეები და მათი თანაშემწეები, მბურღავები სწორ ფენებზე, ჩამომგრევლები, ჩამომტეხლები, კონვეიერზე და სკრეპერზე დამცრელები, ლავის გამომტვირთველები, მაღაროებიდან ნახშირის გამომყრელები, მემარხველები, ხელით მომუშავე მევალეები) პროგრესიული ანაზღაურების არსებული ცხრილის ნაცვლად, დაწესდეს შეფასების გადიდება, ძირითად შეფასებასთან შედარებით, ნორმის გადაჭარბებით შესრულების დროს ათ პროცენტამდე—ორჯერ, ხოლო ნორმის ათ პროცენტზე ზევით გადაჭარბებით შესრულების დროს—სამჯერ, დაწყებული გადაჭარბებით შესრულების პირველი პროცენტიდან.

2. დაჭანებულ ფენებზე მნგრეველებისათვის გადაშუშავების ანაზღაურება მოხდეს გადიდებული შეფასების მიხედვით—2 ნახ. ჯერ, ძირითად შეფასებასთან შედარებით.

3. იმ მუშებისათვის, რომლებიც გადიან მოსამზადებელ გამომუშავებას ქანის და სახერგავ შტრეკების მხრივ (გამმაგრებლები, მბურღავები, ქანის დარგში, მხერგავები და ქანის ამღებლები), მბურღავებისათვის ქვანახშირის დარგში, ცხენების გამრეკებისათვის, ელექტრომავლების მემანქანეებისათვის, სკრეპერების მემანქანეებისათვის, სანათურების და კონვეიერების მევალეებისათვის დაწესდეს შეფასების პროგრესიული გადიდება 1 ნახევარჯერ — ნორმის გადამუშავების დროს ერთიდან ოც პროცენტამდე და ორჯერ—ნორმის გადამუშავების დროს 20 პროცენტზე ზეით, დაწყებული გადამუშავების პირველი პროცენტიდან.

4 დაწესდეს ქვანახშირის მუშათა შრომის აღრიცხვის და ანაზღაურების შემდეგი მეთოდი:

ა) გამომუშავების აღრიცხვა ნარდად მომუშავეთათვის სწარმოებს ყოველდღიური გამოანგარიშების საფუძველზე, გარდა იმ მუშებისა, რომლებიც მუშაობენ ქანის და ახალი გათხრის დარგში, რომლებისთვისაც აღრიცხვა სწარმოებს თვიური გამოანგარიშების საფუძველზე.

ბ) ქვანახშირის მუშათა შრომის ანაზღაურება სწარმოებს: საჭრელი მანქანების მემანქანეებისა და მათი თანაშემწეებისათვის—თვითეული მუშის ინდივიდუალური გამომუშავების საფუძველზე, სწორ ფენებზე მომუშავე ჩამომგრეველებისა და დამცრელებისათვის—ბრიგადის საერთო გამომუშავების ყოველი ცვლის აღრიცხვის საფუძველზე ხელფასის განაწილებით ხიტარიფო განაკვეთის პროპორციონალურად.

დაწესდეს, რომ პროგრესიული ანაზღაურების გამოანგარიშება სწარმოებს თვიური სანარდო მუშაობის შედეგების მიხედვით (იმ დროის ვამოკლებით, რაც დაიხარჯა სხვა სახის სამუშაოებზე, შებულებაზე და ავადმყოფობაზე).

საინჟენერო-ტეხნიკური პერსონალის და ათისთავების შრომის ხელფასის გადიდების და მათი დაჯილდოების შესახებ

დამტკიცდეს მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის შემდეგი დადგენილება:

დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის შესახებ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ას მიერ 1933 წლის 8 აპრილს

I.	1)	მაღაროთა	1-ლი ჯგ.	მთავ. ინჟ.	ნაცვლად არსებული ჯამაგირისა
	2)	„	2-ე „	„ „ „	„ „ „ „
	3)	„	3-ე „	„ „ „	„ „ „ „
II.	1)	„	1-ლი „	„ „	ნაც. თანაშემწ. ნაცვლად არს. ჯამაგირისა
	2)	„	2-ე „	„ „	„ „ „ „
